

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY



NATALI ACADEMY
NATALI GROUP

ბაზრის კვლევა და მოთხოვნადი პროგრამების ანალიზი
სილამაზის ინდუსტრიაში

2024

შინაარსი

შესავალი	3
მონაცემთა წყაროები და მეთოდოლოგია	4
კვლევის მთავარი შედეგების აღწერა	5
დიაგრამა 1	5
დიაგრამა 2	6
დიაგრამა 3	7
შეჯამება	8

შესავალი

სილამაზის ინდუსტრიაში, როგორც საქართველოში, ისე გლობალურად, ისე გლობალურად, მომსახურების სფერო მუდმივად ვითარდება. სალონები მუდმივად ეძებენ ახალ პროფესიონალებს, რათა მომხმარებლებს უკეთესი და მრავალფეროვანი სერვისები შესთავაზონ. მომავალი 3 წლის პერსპექტივა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სილამაზის ინდუსტრია მზარდია, და ამ პერიოდში სპეციალისტების მოთხოვნა შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს. ამ კვლევის მიზანი იყო 100 სილამაზის სალონის დასაქმების გეგმების შესწავლა, მათი საჭიროებების და მოთხოვნილი პროფესიონალების იდენტიფიცირება.


მონაცემთა წყაროები და მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა 100 სილამაზის სალონში, სადაც თითოეული სალონის წარმომადგენელს დაესვა კითხვა, თუ რა ტიპის სპეციალისტების დაქირავებას გეგმავენ მომდევნო 3 წლის განმავლობაში და რამდენი პროფესიონალის დასაქმებას აპირებენ. ამ კითხვების პასუხების მიხედვით შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც ასახავს:

- სპეციალისტების ტიპებს, რომლებიც სალონებისთვის ყველაზე მოთხოვნილია.
- დასაქმების რაოდენობას თითოეული სპეციალობის მიხედვით.
- რამდენად პრიორიტეტულია დამსაქმებლისთვის დასაქმებული ფლობდეს სახელმწიფო დიპლომს ან/და სერტიფიკატს.

მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებული იყო პი-დიაგრამა, ბოქს-პლოტი და ჰისტოგრამა, რომლებიც ხელს გვიწყობს შედეგების ვიზუალიზაციაში და ანალიზში.

კვლევის მთავარი შედეგების აღწერა




დიაგრამა 1

კვლევის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა რომელი ტიპის სპეციალობები არის სალონებისთვის ყველაზე მოთხოვნილი მომსახურების გაზრდის მიზნით. გამოკითხვის შედეგად ჩანს, რომ სტილისტის სპეციალობა ყველაზე დიდი წილი მოდის სტილისტებზე (16%) და ფრჩხილის სპეციალისტებზე (15%), რაც მიუთითებს, რომ ეს პროფესიონალები სალონებისთვის განსაკუთრებით მოთხოვნილია. კოსმეტოლოგებიც (15%) მსგავსად მაღალი მოთხოვნით გამოირჩევიან, რაც, სავარაუდოდ, კანის მოვლის მომსახურებების მზარდ პოპულარობას უკავშირდება.

მეორე მნიშვნელოვანი კატეგორიებია ვიზაჟისტები (12%) და კანის ესთეტიკური დერმოპიგმენტაციის სპეციალისტები (11%), რაც ასევე აჩვენებს სილამაზის სფეროში სერვისების დივერსიფიკაციას.

სპა თერაპისტები და წარბის სპეციალისტები 7-7%-იანი წილით ნაკლებად არის მოთხოვნილი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი სეგმენტია. მოცემული ფაქტი შეიძლება ახსნილი იყოს იმით, რომ ეს სპეციალობები ჯერ კიდევ ახალია საქართველოს ბაზრისთვის და საჭიროებს პოპულარიზაციას.



დიაგრამა 2


დიაგრამა ასახავს 3 წლის განმავლობაში სხვადასხვა სპეციალისტების დასაქმების პერსპექტივას სილამაზის სალონებში. მონაცემების მიხედვით, ფრჩხილის სპეციალისტები (273) და სტილისტები (248) არიან ყველაზე მოთხოვნილი სპეციალისტები, რაც ინდიკატორია, რომ სილამაზის ინდუსტრიაში ამ სერვისებზე დიდი მოთხოვნაა.

კოსმეტოლოგები (215) და ვიზაჟისტები (183) ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და დიდი რაოდენობით სპეციალისტების დასაქმებას მოითხოვენ. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კანის მოვლა და მაკიაჟი სალონებში პოპულარული ხდება.

მეორე დონეზე, კოლორისტები (124), წამწამის სპეციალისტები (119) და წარბის სპეციალისტები (98) შედარებით ნაკლები რაოდენობით არიან მოთხოვნილი, თუმცა ამ პროფესიონალების როლი სილამაზის ინდუსტრიაში საქართველოს ჭრილში ახალ სპეციალობებს წარმოადგენს და საჭიროებს განვითარებასა და გავრცელებას.

საბოლოოდ, დიაგრამიდან ჩანს, რომ სალონები მომავალში აპირებენ დიდი რაოდენობით ახალი სპეციალისტების დასაქმებას, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც მომხმარებელთა ყველაზე პოპულარული მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოითხოვენ.

სახელმწიფო დიპლომის/სერთიფიკატის მნიშვნელობა დამსაქმებლისთვის



დიაგრამა 3

დიაგრამა ასახავს სალონების დამოკიდებულებას დასაქმებულებას სერთიფიკატებისა და დიპლომების მიმართ. მონაცემების მიხედვით, 64% დამსაქმებლებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სპეციალისტს ჰქონდეს სახელმწიფო სერთიფიკატი ან/და დიპლომი, რაც მიუთითებს კვალიფიციური პროფესიონალების მოთხოვნაზე.

21% დამსაქმებლები ფოკუსირებას აკეთებენ სპეციალისტის კომპეტენტურობასა და გამოცდილებაზე. შესაბამისად, ნაკლებად აქცევენ ყურადღებას დიპლომსა თუ სერთიფიკატს, მაგრამ მათთვის მაინც გარკვეულწილად მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

დანარჩენი 15% კი აცხადებს, რომ მათთვის საერთოდ არ არის საჭირო სპეციალისტს ჰქონდეს სახელმწიფო სერთიფიკატი ან დიპლომი, რადგან ისინი მხოლოდ გამოცდილებასა და კომპეტენციაზე აკეთებენ აქცენტს.

შედეგებიდან გამომდინარე, დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, რომ უმეტესობას მაინც სჭირდება ოფიციალურად აღიარებული განათლება, თუმცა გამოცდილებაც მნიშვნელოვანი ფაქტორია.

შეჯამება

სილამაზის ინდუსტრიაში სპეციალისტების დაქირავების ტენდენციები ცხადყოფს, რომ სალონები განსაკუთრებით საჭიროებენ სტილისტებს, ფრჩხილის სპეციალისტებს და კოსმეტოლოგებს, რომლებიც ყველაზე მოთხოვნად პროფესიონალებად მიიჩნევიან. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სალონების უმრავლესობა გეგმავს საშუალოდ 10-15 პროფესიონალის დასაქმებას წლიურად, რაც მიუთითებს ინდუსტრიის განვითარებაზე და მომსახურებების დივერსიფიკაციაზე.

ამასთან, გამოკითხვამ აჩვენა, რომ დამსაქმებლების 64%-ისთვის მნიშვნელოვანია დასაქმებულს ჰქონდეს სახელმწიფო სერთიფიკატი ან/და დიპლომი, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კვალიფიკაციის ოფიციალური დამადასტურებელი დოკუმენტების მნიშვნელობას.

მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სილამაზის ინდუსტრია ზრდას განაგრძობს და სპეციალისტების კვალიფიკაცია და მრავალფეროვნება კრიტიკული მნიშვნელობისაა მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.